საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 498 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„სააპელაციო საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის №478 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „სააპელაციო საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის №478 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო საბჭოს წევრებად დაინიშნონ:

ნოდარ პაპუკაშვილი – შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი, პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

ზურაბ გასიტაშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დევი ხვედელიანი – ა(ა)იპ – კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი – საბჭოს მდივანი;

გიორგი სალუქვაძე – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი;

ზაზა რუხაძე – შპს „ქართულ-ამერიკული სასწავლო უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის დეკანი;

სოფიკო ლობჟანიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გრიგოლ ტატიშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოღონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ირაკლი მჭედლიშვილი – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ეკა ლეფსვერიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;

თინათინ კაიშაური – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ – საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

თამარ ბაღდავაძე – შპს „ლენდ მარკ პროჯექტის“ არქიტექტორი; ა(ა)იპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.“.

მამუკა ბახტაძე